ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№68. 6823006001**

თარიღი:**06/01/2023**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61- ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით დევდარიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (ჯგუფის თავმჯდომარე);

ბ)ვარლამ ჭიპაშვილი-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ჯგუფის წევრი);

გ) მანანა ბარბაქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - (ჯგუფის წევრი);

დ)დავით კიკნაძე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გენდერული საბჭოს თავმჯდომარე - (ჯგუფის წევრი);

ე) კახაბერ გოლუბიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - (ჯგუფის წევრი);

ვ) პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი- (ჯგუფის წევრი);

ზ) ინგა ბერაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - (ჯგუფის წევრი);

თ) ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - (ჯგუფის წევრი);

ი) მარინა კვინიკაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იურიდიული განყოფილების უფროსი (ჯგუფის წევრი);

კ) ბადრი შველიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მეოთხერანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში - ჯგუფის წევრი;

ლ)ვასილ შარიქაძე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი საქმისწარმოების მასალების მომზადებაში

მ)ია არღუნაშვილი-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი დასუფთავების საკითხებში

ნ)ვალერი გოგნაძე-მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე-ჯგუფის წევრი

ო)ეკა შავიძე-მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი

2. განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის წევრების ფუნქციები შემდეგი სახით:

ა) დავით დევდარიანი - პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან.

ბ) ვარლამ ჭიპაშვილი - პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან.

გ) მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში.

დ)დავით კიკნაძე-საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და გენდერული საბჭოს წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში.

ე) კახაბერ გოლუბიანი - ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/ კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ -ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით.

ვ) პეტრე შარიქაძე - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება.

ზ) ვლადიმერ გელაშვილი-პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხის განხილვა.

თ) ინგა ბერაძე -ჯგუფის წევრი-მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის facebook - გვერდის მეშვეობით, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის.

ი) მარინა კვინიკაძე- მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა.

კ) ბადრი შველიძე -საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება.

ლ)ვასილ შარიქაძე-საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება.

მ)ია არღუნაშვილი-საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება.

ნ)ვალერი გოგნაძე-მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში.

ო)ეკა შავიძე-მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის facebook - გვერდის მეშვეობით, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი